



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №6/8

2017 წლის 27 თებერვალი  
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.509) 56.48 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის შპს „ფოთიქალაქპროექტისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.509) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

შპს „ფოთიქალაქპროექტის“ დირექტორმა 2017 წლის 1 თებერვლის №2 წერილით მომართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.509) 56.48 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის შპს „ფოთიქალაქპროექტისათვის“ სარგებლობაში გადაცემა საოფისე ფართად.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა #7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.509) 56.48 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის შპს „ფოთიქალაქპროექტისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან თავად ამ კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების

-2-

შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.509) 56.48 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი შპს „ფოთიქალაქპროექტისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

#### აღნიშნულიდან გამომდინარე:

##### **მუხლი 1.**

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, 26 მაისის ქუჩა №7-ში მდებარე შენობის მეორე სართულზე არსებული 536.67 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.02.08.241.01.507) 56.48 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (გეგმის შესაბამისად) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე გადასცეს შპს „ფოთიქალაქპროექტს“ (ს/კ 215081355).

##### **მუხლი 2.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

##### **მუხლი 3.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 27 თებერვლიდან.

